

საქართველო ადრეული ქორწინება



გოგონასთვის ადრეული ქორწინება შესაძლოა განათლების შეწყვეტის წინაპირობა გახდეს, რაც დააბრკოლებს მის პროფესიულ თუ კარიერულ განვითარებას და წაართმევს მას უმთავრესი ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთების უფლებას.

ბაბატუნდე ოსოტიმეჰინი, გაეროს მოსახლეობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

ბავშვის გაჩენის გარდა, ყველაფერს შევცვლიდი. ალბათ, ჩემს კარიერას მივხედავდი უფრო მეტად. ჩემს თავს დავეუთობდი უფრო მეტ დროს - ნაადრევ ქორწინებაში მყოფი ქალი, თბილისი

ადრეული ქორწინებები

ადრეული, ანუ ნაადრევი ქორწინება არის ოფიციალური, ან არაოფიციალური კავშირი ორი ადამიანისა, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც 18 წლის ასაკს მიუღწეველია, ანუ ბავშვია.¹ ადრეული ქორწინება მიჩნეულ უნდა იქნას, ზოგადად - ადამიანის უფლებების და კერძოდ - ბავშვთა უფლებების დარღვევად, რადგან ითვლება, რომ ბავშვს არ შეუძლია მისცეს გააზრებული თანხმობა. ნაადრევი ქორწინება საქართველოში იშვიათი არ არის და სხვა ფაქტორებთან ერთად, გენდერულ უთანასწორობას უკავშირდება. ამასთან, მისი გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვანია და განსხვავდება რელიგიური, ეთნიკური თუ რეგიონალური ფაქტორების მიხედვით.

ადრეული ქორწინება გენდერულ კრილში განსახილველი ფენომენია- ის განსხვავებულ გავლენას ახდენს ბიჭებსა და გოგონებზე. ზოგადად, მსოფლიოში ადრეულ ქორწინებაში მყოფი ბიჭების რაოდენობა გოგონებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. ამასთან, ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონები ოჯახური ძალადობის და სექსუალური ზეწოლის გაზრდილი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან, და, თუ ისინი ქორწინებისთანავე დაორსულდებიან, შესაძლოა, ორსულობა და მშობიარობა გაურთულდეთ, რადგან მათი ორგანიზმი ჯერ არ არის მზად ბავშვის გაჩენისათვის. ადრეული ქორწინების შემთხვევაში, როგორც ბიჭები, ისე გოგონები ხშირად იძულებული არიან შეწყვიტონ განათლების მიღება სკოლაში, დაიწყონ მუშაობა და/ან დაკავდნენ საოჯახო საქმეებით.

საერთაშორისო კონვენციები, ხელშეკრულებები და პროგრამები ყურადღებას ამახვილებენ ადრეულ ქორწინებაზე. ეს ინსტრუმენტები მოიცავენ: კონვენციას ქორწინებაზე თანხმობის, მინიმალური საქორწინო ასაკისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ (1962); კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა

ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979); ბავშვის უფლებათა კონვენციას (1989) და პეკინის პლატფორმის სამოქმედო გეგმას (1995), რომელიც ერთვის გაეროს ქალთა მეოთხე საერთაშორისო კონფერენციას. ეს საერთაშორისო ინსტრუმენტები ეხება აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორცაა მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების აღმოფხვრა, გოგონებზე ძალადობა, ქორწინებაზე თანხმობა, მინიმალური საქორწინო ასაკი, ქორწინების რეგისტრაცია და მეუღლის არჩევის თავისუფლება.

წინამდებარე მიმოხილვაში წარმოდგენილია ინფორმაცია ადრეული ქორწინების შესახებ საქართველოში და მოცემულია რეკომენდაციები ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე მიმოხილულია საკითხისთვის შესაბამისი სახელმწიფო კანონმდებლობა, რატიფიცირებული საერთაშორისო ინსტრუმენტები, ამჟამინდელი პრაქტიკა და ნაადრევი ქორწინებისადმი დამოკიდებულების ანალიზი. ამ კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს საქართველოში ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული იურიდიული ჩარჩოსა და ლიტერატურის მიმოხილვას, ასევე, ინტერვიუებს და ფოკუს-ჯგუფებს - ადრეულ ქორწინებაში მყოფ ქალებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან.

რეკომენდაციები

- ქორწინების მინიმალურ ასაკად უნდა განისაზღვროს 18 წელი. გამოწვევის შემთხვევაში, 16 წლიდან პირის დაქორწინება შეიძლება მხოლოდ ორსულობის მიზეზით.
- ადრეული ქორწინების პრობლემის სიდრმისეულად შესწავლის მიზნით საჭიროა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ჩატარება. სტრატეგიებისა და ინტერვენციის შესამუშავებლად აუცილებელია არსებობდეს ამ საკითხის შესახებ რეპრეზენტატიული მონაცემები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

- ადრეულ ქორწინებასა და ქალთა უფლებებზე საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა ამ საკითხების ინტეგრირება ეროვნულ პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმებში, რომლებიც უკავშირდება გენდერულ თანასწორობასა და ახალგაზრდების განვითარებას.
- საჭიროა ქვეყნის მასშტაბით ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები ადრეული ქორწინებისა და მისი უკუშედეგების შესახებ. ამ კამპანიების განსაკუთრებული სამიზნე უნდა იყოს ის რეგიონები, სადაც ყველაზე მაღალია ნადრევი ქორწინებისა და აბორტების რიცხვი 18 წლამდე ასაკის გოგონებში. ეთნიკური უმცირესობებისათვის ასეთი კამპანიის წარმართვისათვის საჭიროა თანამშრომლობა გაეროს მოსახლეობის ფონდის ოფისებთან მეზობელ ქვეყნებში და ადგილობრივ ენებზე მომზადებული, კულტურულ-სოციალურ თავისებურებათა შესაბამისი მასალების გამოყენება.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, კულტურული კონტექსტისა და ასაკის გათვალისწინებით, უნდა შეიმუშავოს ადეკვატური “რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების” საგანმანათლებლო პროგრამა და დანერგოს სკოლებში. ასევე, აუცილებელია მასწავლებლებისთვის სათანადო ტრენინგების ჩატარება, რომელთა მიზანი იქნება გენდერული თანასწორობის, გოგონების განათლების უფლებისა და ოჯახის დაგეგმვის საკითხების შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდება.
- საჭიროა პირველადი სამედიცინო დახმარებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურების მიწოდებლებს ჩაუტარდეს ტრენინგები გოგონების უფლებებზე და გენდერულ თანასწორობაზე. ეს მათ შესაძლებლობას მისცემს, რომ გოგონების მშობლებს კონსულტაცია გაუწიონ და ასევე, გოგონებს მიაწოდონ ახალგაზრდებზე მორგებული მომსახურება რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში.
- ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის აუცილებელია ეფექტური ინიციატივებისა და ღონისძიებების შემუშავება.

სახელმწიფო საკანონმდებლო კონტექსტი

საქართველო გაეროს ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციასა და ბავშვის უფლებათა კონვენციას 1994 წელს შეუერთდა. თეორიულად, ეს საერთაშორისო ინიციატივები, სახელმწიფო კანონმდებლობასთან (სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, აგრეთვე კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ (2006) ერთად, უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების დაცვას. მაგრამ პრაქტიკულად, როგორც ინტერვიუებმა აჩვენა, იმპლემენტაციის მექანიზმების, სტრატეგიებისა და მონიტორინგის არარსებობა ან გაუმართაობა ამ ინსტრუმენტებს უშედეგოს და არაეფექტურს ხდის.

გარდა ამისა, კანონმდებლობაში არის სხვა გამონაკლისები და არათანმიმდევრულობა, რაც მას პრობლემატურსა და არაეფექტურს ხდის. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პიროვნება 18 წლამდე ითვლება ქმედუნაროდ, ანუ ბავშვად. თუმცა, არის ორი გამონაკლისი, როდესაც ბავშვი ხდება ქმედუნარიანი და ხდება არასრულწლოვანის ემანსიპაცია: თუ ის დაქორწინდება 16 წლის ასაკში, ანდა გაუძღვება კონკრეტულ საწარმოს.

ჩვენ რატიფიცირებული გვაქვს ბავშვის უფლებათა კონვენცია და ეს გარკვეულ ვალდებულებებს უქმნის სახელმწიფოს. კანონმდებლობა შესაბამისობაში რომ არ იყოს, კონვენცია უფრო მაღალ დონეზეა და ამით უნდა ვისარგებლოთ. შიდა კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინების მინიმალური ასაკი არის 18 წელი, მაგრამ გამონაკლისის სახით შესაძლებელია 16 წლიდან დაქორწინება. ეს გამონაკლისი არ არის მისასალმებელი, რადგან 16 წლის მოზარდი "ემანსიპირდება", ანუ იძენს იმ უფლებას-მოვალეობებს, რაც აქვს სრულწლოვანს. (ექსპერტი)

კვლევისთვის გამოკითხულმა რესპონდენტებმა და ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ არც სახელმწიფო უწყებების და არც საზოგადოების მიერ ადრეული ქორწინება სერიოზულ პრობლემად არ არის აღქმული. ის აგრეთვე არ წარმოადგენს პრიორიტეტს ბავშვის ან ქალის უფლებების დამცველი ორგანიზაციებისათვის. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა ხდება ირიბად, სხვა საკითხებთან კავშირში. მაგალითად, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ქალთა ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ოჯახში ძალადობაზე, ამ ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობის დროს შესაძლოა შეეხონ ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონების პრობლემებს.

ვის შეუძლია ქორწინების რეგისტრაცია?

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის თანახმად, საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში დაქორწინება დასაშვებია თექვსმეტი წლის ასაკიდან, მშობლების ან

სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. მშობლების თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, დასაქორწინებელ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოიპოვოს ნებართვა.² ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ განსაკუთრებული მიზეზების, მაგალითად, ორსულობის არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე სასამართლო გაცემს ქორწინების ნებართვას. პრაქტიკულად, ეს გამონაკლისები კანონის მოქმედებას ადრეული ქორწინების პრევენციისა და აღკვეთის თვალსაზრისით არაეფექტურს ხდის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის თანახმად, სქესობრივი კავშირი კანონით დაშვებულ ასაკს მიუღწევად, ანუ თექვსმეტ წლამდე ბავშვთან, ისჯება "თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ერთიდან სამ წლამდე".³ დაურეგისტრირებელი ოჯახური კავშირის შემთხვევაში, როდესაც სრულწლოვანთან თანაცხოვრებაში მყოფი გოგონა თექვსმეტ წელს მიუღწეველია, სამართალდამცავები ვალდებული არიან, მიიღონ შესაბამისი ზომები დამნაშავეს წინააღმდეგ. თუმცა, ამ კვლევის მონაწილე რესპონდენტის, ყოფილი პოლიციელის თქმით, როდესაც საქმე ეხება დაურეგისტრირებელ ქორწინებას, სამართალდამცავები თავს იკავებენ ჩარევისგან, რადგან არ სურთ "ვინმეს ოჯახის დანგრევა".

ამჟამად არ არსებობს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც უშუალოდ არეგულირებს იძულებით ქორწინებას.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების თანახმად სახელმწიფო

ბავშვთა კეთილდღეობის სტრატეგიაში ეს საკითხი დასმულიც კი არ არის. ამ პრობლემაზე არავინ არ ლაპარაკობს. ლაპარაკობენ ბავშვთა სიღარიბეზე, ქუჩის ბავშვებზე და ა.შ., მაგრამ 16 წლიდან თუ დაქორწინდა, ბავშვად აღარც მიიჩნევენ. (ექსპერტი)

ქორწინება სამართლებრივად არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან. ქორწინების რეგისტრაცია დაუშვებელია, თუ წყვილი არ არის 16 წლისა. თუ ვგულისხმობთ შემთხვევებს, როდესაც 12, 13, 14 წლის ადამიანები ქმნიან ოჯახს, ეს კანონდარღვევაა. ... ამ პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფოს ერთადერთი მექანიზმი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განაცხადოს, რომ მშობლები ვერ ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ან მშობლის უფლების შეზღუდვის მიზნით მიმართოს სასამართლოს. (ექსპერტი)

ადიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას, მაგრამ რეალურად, სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

1989-2007 წლებში ჩატარდა კვლევა, რომელიც 115 დაბალ და საშუალო-შემოსავლების მქონე ქვეყანაში კანონმდებლობის მიერ დაწესებული ქორწინების მინიმალური ასაკის გავლენას სწავლობდა. კვლევის შედეგებმა თვალნათლივ აჩვენა, რომ იმ ქვეყნებში, რომელთა კანონმდებლობა მკაცრად იცავდა საერთაშორისო სტანდარტებს (ქორწინების მინიმალურ ასაკად 18 წლის განსაზღვრით), არასრულწლოვანთა შორის შობადობის რიცხვი ყველაზე მეტად შემცირდა; ხოლო ის ქვეყნები, რომელთაც განსაზღვრეს ქორწინების მინიმალურ ასაკად 18 წელი, მაგრამ დაუშვეს რიგი გამონაკლისები, როგორცაა მაგალითად, მშობლების თანხმობა, არაფრით არ განსხვავდებოდნენ იმ ქვეყნებისგან, რომელთაც არ გააჩნდათ ქორწინების ასეთი მინიმალური ასაკი.⁴ ეს კვლევა წარმოაჩინა, რომ ადრეული ქორწინების მძიმე შედეგების აღმოსაფხვრელად საჭიროა არსებული კანონმდებლობის გადასინჯვა და სრულყოფა, რაც ნიშნავს, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე, ქორწინების მინიმალურ ასაკად 18 წლის დაწესებას.

რომ არსებობდეს კანონი, რომელიც აკრძალავდა 16 წლამდე დაქორწინებას, ხალხი დაემორჩილებოდა ამ კანონს, ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა. (ექსპერტი)

ოჯახის დაგეგმვა და რეპროდუქციული უფლებები

საქართველოში “კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ” და “კანონი პაციენტის უფლებების შესახებ” უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის უფლებას ისარგებლოს სამედიცინო მომსახურებით.^{5,6} პაციენტის უფლებების კანონის 41 (2) მუხლის თანახმად “16 წლამდე ასაკის არასრულწლოვან პაციენტს სამედიცინო

სამედიცინო მომსახურება მშობლის თანხმობის გარეშე 16 წლის ასაკიდან არის დაშვებული, რადგან ამ ასაკიდან ხდება ემანსიპაცია; თუ გოგონა 16 წლისა თხოვდება, იგი აღარ მიიჩნევა ბავშვად. (ექსპერტი)

მომსახურება უტარდება მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით”.⁷ თუმცა, მე-40 მუხლი 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პაციენტებისათვის უშვებს

რამდენსამე გამონაკლისს: მათ შეუძლიათ კონფიდენციალურად მიმართონ ექიმს “სქესობრივად გადამდები დაავადების ან ნარკომანიის მკურნალობის, კონტრაცეფციის არაქირურგიული მეთოდების შესახებ კონსულტაციის მიღების ან

ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მიზნით”.⁸ ამ შემთხვევაში, პაციენტს აქვს ინფორმირებული თანხმობის მნიშვნელოვანი უფლება და შეუძლია კონფიდენციალური სამედიცინო მომსახურების მიღება.

საქართველოში ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით სამედიცინო მომსახურებისა და კონსულტაციის შეთავაზება შეუძლიათ მეან-გინეკოლოგებსა და რეპროდუქტოლოგებს. წინამდებარე კვლევა წარმოაჩინა, რომ რიგი ბარიერების, მაგალითად, ენის ბარიერის გამო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გოგონებისთვის სამედიცინო მომსახურება ნაკლებად ხელმისაწვდომია.

გოგონები მარტო ვერ მივლენ ექიმთან, იმიტომ რომ რუსული არ იციან, ქართული არ იციან, საკუთარი ენაც კი არ იციან ნორმალურად, და რა უნდა აკეთონ ექიმთან. უფროსებმა, რადგან უფროსები არიან, ცოტა რუსული და ცოტა ქართული იციან. (ნაადრევ ქორწინებაში მყოფი ქალი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი)

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თუ ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება 12 კვირას, მაშინ ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია; აბორტი შეიძლება ჩატარდეს ექიმის მიერ, ქალის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, სათანადო უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებაში. “12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში აბორტი ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით”.⁹ 2010 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მიხედვით საქართველოში აბორტის განსაკუთრებით მაღალი ხვედრითი წილი მოდის ეთნიკურ უმცირესობებზე: კერძოდ, 15-19 წლის აზერბაიჯანელ გოგონებში გაცილებით უფრო მაღალია შობადობა (143), ვიდრე იმავე ასაკობრივი ჯგუფის ქართველ გოგონებში (30).¹⁰ (3.3 აბორტი მოდის აზერბაიჯანელ ქალზე და 1.5 - ქართველ ქალზე).¹¹

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მიხედვით, კონტრაცეფციის მეთოდების შესახებ ცოდნის დონე ყველაზე დაბალია ქვემო ქართლის რეგიონში და ყველაზე მაღალია თბილისში. ამასთან, კვლევის თანახმად, ეთნიკური ქართველები უფრო მეტად იყენებენ თანამედროვე კონტრაცეფციის მეთოდებს და ნაკლებად - ტრადიციულ მეთოდს, ვიდრე აზერბაიჯანელი და სომეხი ქალები.¹²

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევამ ასევე წარმოაჩინა, რომ 15-დან 19 წლამდე დაქორწინებული ქალების 76.6% არ იყენებს არც ერთ თანამედროვე კონტრაცეფციის მეთოდს.¹³ მათ მიერ დასახელებული ძირითადი მიზეზები დაფხმძიმების სურვილს, შობადობასა და სქესობრივ აქტივობას უკავშირდება.¹⁴

სხვა მიზეზთაგან უნდა აღინიშნოს, რომ ისინი არ არიან სათანადოდ ინფორმირებული და/ან არ მიუწვდებიან ხელი კონტრაცეპტივებსა და ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებულ კონსულტაციებზე.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ეთნიკური ქართველი ქალებისთვის უფრო ხელმისაწვდომია ამ სახის კონსულტაციები, ვიდრე სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი ქალებისთვის.¹⁵

საქართველოში განათლება რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე არ არის სასკოლო პროგრამის ნაწილი. სკოლის მაღალი კლასების ბიოლოგიისა და ანატომიის სახელმძღვანელოები მოიცავს რეპროდუქციული ბიოლოგიის ზოგიერთ ასპექტს, რაც არასაკმარისია საკითხის საფუძვლიანი ცოდნისათვის. რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევამ საქართველოში აჩვენა, რომ 15-დან 24 წლამდე ასაკის ქალების მხოლოდ 3%-მა მიიღო კონტრაცეპტივების შესახებ ინფორმაცია სკოლაში. 15-დან 17 წლამდე ახალგაზრდებისთვის ამ საკითხებზე ინფორმაციის ყველაზე გავრცელებული წყარო არიან მეგობრები (31%) და მშობლები (26%).¹⁶

ამ კვლევისათვის ნაადრევ ქორწინებაში მყოფი რამდენიმე რესპოდენტი იქნა გამოკითხული - მათი უმრავლესობა დაქორწინების დროს არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის შესახებ. ასევე აღმოჩნდა, რომ გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობა დაქორწინებისთანავე დაორსულდა.

ნაადრევ ქორწინებაში მყოფი ქალების გამოცდილება აჩვენებს, რომ ისინი არიან ერთგვარი ზეწოლის ქვეშ, გააჩინონ შვილი რაც შეიძლება მალე, რათა გაამართლონ

საზოგადოების მოლოდინები. აქედან გამომდინარე, პირველი ბავშვის გაჩენამდე კონტრაცეპტივების გამოყენებაზე მათთვის ფიქრიც კი ზედმეტია.

თუ გოგონა გათხოვებისთანავე დაორსულდა, ეს პრობლემად მიიჩნევა, მაშინვე იწყებენ ექიმის ძებნას და რძლის მკურნალობას; შვილი მაშინვე უნდა იყოლიოს - ამაზე შეკითხვაც არ უჩნდებათ. (ექსპერტი)

ადრეული ქორწინება საქართველოში

საქართველოში ადრეული ქორწინების მიზეზების, მასშტაბებისა და შედეგების შესასწავლად სიღრმისეული კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. ამის მიზეზები შეიძლება იყოს დიდი ხნის განმავლობაში ამ პრობლემის უხილავობა და ასევე, სტატისტიკური მონაცემების სიმწირე. არსებული შეზღუდული მონაცემები რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და ადამიანის უფლებებზე ჩატარებული კვლევებით შემოიფარგლება და მათ ირიბ შედეგს წარმოადგენს.

არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში მცხოვრები ქალების 17% დაქორწინდა 18 წლის შესრულებამდე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საქართველოს აქვს ნაადრევი ქორწინების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ისევე, როგორც მოლდოვას (19%) და თურქეთს(14%).¹⁷ თუმცა, მონაცემები ვერ იქნება სრული, რადგან ნაადრევი ქორწინება ხშირად არ არის ოფიციალურად დარეგისტრირებული. მაგალითად, 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირი ოფიციალურად ვერ შეძლებს ქორწინების დარეგისტრირებას. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია დარეგისტრირებული ქორწინებების რიცხვის შესახებ, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საკმარისი არ არის ნაადრევი ქორწინების ტენდენციების გამოსავლენად.

არსებული მონაცემები და კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ადრეული ქორწინების პრაქტიკა და გარემოებები არ არის ჰომოგენური და საკმაოდ განსხვავდება ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიისა და რეგიონების მიხედვით.

პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფომ შეიძლება საერთოდ ვერ გაიგოს ამის [ადრეული ქორწინებების] შესახებ, რადგანაც არ ხდება ქორწინებების რეგისტრაცია, განსაკუთრებით სოფლად. საერთოდ, როდესაც ქალს დაერქმევა "გათხოვილი", ეს ითვლება საკმარისად და თავს არავინ არ იწყებს, რომ სახელმწიფოსთან ჰქონდეს ურთიერთობა. ამიტომაც სახელმწიფომ არც კი იცის, რომ ასეთი საქორწინო კავშირები საერთოდ შედგა. (ექსპერტი)

როგორც ჩანს, ადრეული ქორწინება განსაკუთრებით ხშირია გარკვეულ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებში, მაგალითად, მაღალმთიანი აჭარის რელიგიურ უმცირესობასა და ქვემო ქართლის ეთნიკურ უმცირესობებში. უახლესი კვლევის მონაცემების თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ, ქორწინებაში მყოფ ქალთა 32% 18 წლამდე ასაკში დაქორწინდა. აღსანიშნავია, რომ 13-14 წლის ასაკში დაქორწინებულთა ხვედრითი წილი 5%-ია, ხოლო 15-16 წლის ასაკში დაქორწინებულთა ხვედრითი წილი 16%-ს აღწევს.¹⁸

ადრეული ქორწინება გოგონებისათვის მძიმე შედეგების გამომწვევია - მან შესაძლოა გამოიწვიოს მათი სოციალური და უფლებრივი გარიყვა. ასევე, რეპროდუქციაზე კონტროლის არარსებობის გამო დიდია ორსულობის ალბათობა, შედეგად კი - ამ ასაკში ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემები. ადრეული ქორწინება ხშირად ართმევს გოგონებს სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალებას. სკოლის ნაადრევი მიტოვება შეიძლება დაკავშირებული იყოს სიღარიბესთანაც, მაგრამ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში გამოვლინდა ურთიერთკავშირი განათლების შეწყვეტასა და ადრეულ ქორწინებას შორის. ანგარიშის თანახმად, 2011-დან 2013 წლის

იანვრამდე 7367-მა გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება საბაზო საფეხურის დასრულებამდე (მე-7-9 კლასები).¹⁹ არსებული მწირი მონაცემების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ საშუალო განათლების შეწყვეტის კოეფიციენტი განსაკუთრებით საგანგაშოა ქვემო ქართლის რეგიონსა და თბილისში. 2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრმა ჩაატარა ცნობიერების ამაღლების კამპანია ბავშვთა უფლებების საკითხზე ქვემო ქართლში. ამ პროექტის ფარგლებში სკოლის მასწავლებლებთან საუბარმა გამოავლინა, რომ გოგონების სკოლიდან გასვლის მიზეზი ნაადრევი ქორწინება იყო. სახალხო დამცველის ანგარიშმა აჩვენა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ოჯახის შექმნის მიზეზით 341 მოსწავლემ შეწყვიტა განათლების მიღება მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში.²⁰

საზოგადოება ნაადრევ ქორწინებას არ აღიქვამს პრობლემურად. არსებობს რეგიონები, რომლებიც მკვეთრად ხასიათდებიან ადრეული ქორწინებებით. მუსლიმი ქართველებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ხშირად გვხვდება ნაადრევი ქორწინებები. განსაკუთრებით კი, ქვემო ქართლში და აჭარაში, იმიტომ რომ ეს მათთვის "ბუნებრივი" და ჩვეულებრივი ამბავია. (ექსპერტი)

ექსპერტებთან, ნაადრევ ქორწინებაში ნამყოფ ქალებთან და საზოგადოების წევრებთან გასაუბრების შედეგებმა გამოავლინა, რომ განათლების შეწყვეტა მართლაც დაკავშირებულია ადრეულ ქორწინებასთან. რიგ რეგიონებში ქალის განათლება და მათი საზოგადოებრივი როლი დაკნინებულია. გოგონები, განსაკუთრებით - სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, ტოვებენ სკოლას, რის შემდეგაც მათთვის ქორწინებაა ერთადერთი არჩევანი; სხვა შემთხვევაში, განათლების მიღებას გოგონები დანიშვნის შემდეგ, ქორწინებამდეც წყვეტენ და მხოლოდ მომავალი ქმრის "ნებართვით" შეუძლია გოგონას განათლების გაგრძელება.

გოგო რომ დაიბადება ოჯახში, სულ უმეორებენ: შენ უნდა გათხოვდე, ისწავლე საჭმლის კეთება, დაგვა, ჭურჭლის რეცხვა; და არავინ ეუბნება, რომ დაწეროს ან წიგნი წაიკითხოს. (ნაადრევ ქორწინებაში მყოფი ქალი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი)

მშობლები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ შვილების განათლებას და ხელს უწყობენ გოგონების ადრეულ ქორწინებას, პასუხისმგებელი არიან კანონის წინაშე. საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის 172-ე

მუხლის თანახმად "ბავშვის აღზრდისა და სწავლების მოვალეობის შეუსრულებლობა" გამოიწვევს მშობლების გაფრთხილებას ან დაჯარიმებას.²¹ პრაქტიკაში ეს ჯარიმა ან გაფრთხილება იშვიათად გამოიყენება, რაც მიგვანიშნებს პასუხისმგებელი პირების პასიურობაზე და მათზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე. კანონდარღვევის შემთხვევაშიც კი, ოჯახის საქმეებში ჩარევა ხშირად არ ითვლება მიზანშეწონილად. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა: "მშობლები ამბობენ - ის ჩემი შვილია და რასაც მინდა იმას ვიზამ, არავის არ შეუძლია ჩაერიოს". ამგვარად, ოჯახში არსებული უთანასწორობისა და უსამართლობის მოცემულობად აღქმა და მისი განმტკიცება ხდება. საზოგადოების მიერ ასეთი შეხედულებების მხარდაჭერა უარყოფითად აისახება გოგონას მომავალზე.

ქვემო ქართლში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ

ერთ-ერთ სტატიაში მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო აცხადებს: "თუ მშობელი გაიყვანს ბავშვს, ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია". თუმცა, კონვენციის მიხედვით, მშობელი შეიძლება არღვევდეს ბავშვთა უფლებებს, მაგრამ სახელმწიფომ უნდა დაიცვას ისინი. პრობლემა იწყება მაშინ, როდესაც სამინისტროს სპიკერი აცხადებს, ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთო. (ექსპერტი)

მასწავლებლებიც ისევე, როგორც ზოგადად, ადგილობრივი საზოგადოება, ჯეროვნად არ აცნობიერებენ ადრეული ქორწინების ნეგატიურ ასპექტებს. პირიქით, ისინი ზოგჯერ ჩართულებიც არიან გარიგებით ქორწინების პროცესში. ამიტომაც მნიშვნელოვანია საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს კონსტრუქციული ნაბიჯები გოგონების სკოლიდან გადინების შესაჩერებლად.

ამ კვლევამ, რომელიც ქვეყნის მხოლოდ მცირე ნაწილში ჩატარდა, აჩვენა, რომ ადრეულ ქორწინებას ადგილი აქვს როგორც ქალაქად, ისევე სოფლად, საქართველოს რეგიონებში, თუმცა ამ პრაქტიკის მახასიათებლები და მისი გამომწვევი მიზეზები განსხვავდება. მაგალითად, მშობლების გარიგებით ქორწინება უფრო გავრცელებულია ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებში, განსაკუთრებით რეგიონებში.

კვლევის მიხედვით, დედაქალაქშიც და კვლევის სამიზნე რეგიონებშიც ნაადრევი ქორწინება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია სიდარბესთან და დაბალ სოციალურ სტატუსთან. იმ ოჯახებისთვის, რომლებიც მატერიალური სიდუხჭირის ზღვარზე არიან, გოგონას ადრეული ქორწინება ერთგვარი გამოსავალიც არის. ამასთან, შესაძლოა, თვითონ გოგონები ნაადრევ ქორწინებას განიხილავენ, როგორც ოჯახში არსებული კონფლიქტური და გაუსაძლისი პირობებიდან თავდახსნის საშუალებას.

ცოლ-ქმრული ცხოვრება დიდი პასუხისმგებლობაა, მართლაც "უღელთა" და ძალიან რთულია მისი ზიდავა. მაშინ ამას მე ვერ ვხვდებოდი. საერთოდ ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა ჩემს თავს... თანაც ის ფაქტორი იყო, რომ ოჯახშიც ასეთი [დაძაბული] სიტუაცია მქონდა; აი, ახლა მაინც, ამასთანაც ვაკავშირებ. ალბათ, ისიც იყო, რომ გავვექციე ამ პრობლემას. იმდენად ჩავიკეტე ამ ჩემს ახალ ოჯახში, გარეთ გამოსვლაც აღარ მინდოდა. (ნაადრევ ქორწინებაში მყოფი ქალი)

ადრეულ ქორწინებას რეგიონებში ხშირად ამართლებენ ტრადიციებითა და დაუწერელი წესებით, რაც ამყარებს ამ მავნე პრაქტიკას. კვლევაში მონაწილე რესპონდენტების აზრით, ეს ტრადიციები სინამდვილეში შედარებით ახალია და დასაბამს საბჭოთა კავშირის დაშლიდან და ქვეყანაში დასადგურებული სოციალური და ეკონომიკური არასტაბილურობიდან იღებს. გამოკითხულმა ექსპერტებმაც აღნიშნეს, რომ ადრეული ქორწინებები გახშირდა 1990-იან წლებში, როდესაც უმუშევრობა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ქვეყანაში.

1990-იან წლებში ადრეული ქორწინება, განათლების შეწყვეტა და პატარძლის მოტაცება ხშირად ერთმანეთთან უშუალო კავშირში იყო. რესპონდენტების თანახმად, მოტაცების საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მშობლებს გოგონები სკოლიდან გაჰყავდათ და/ან გარიგებით მიათხოვებდნენ გოგონას მათთვის სასურველ საქმროს. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც მოტაცება გახდა სისხლის სამართლის დანაშაული, ამგვარმა შემთხვევებმა მნიშვნელოვნად იკლო და ახლა იშვიათად ხდება.

წინამდებარე კვლევისათვის გამოკითხულმა ექსპერტებმა დაასახელეს ადრეული ქორწინების გამომწვევი სხვა მიზეზებიც, მათ შორის - ეთნიკური და

კანონი უკვე ცვლის რადიკალს, ამ სიტუაციაშიც კი. მაგალითად, ვეკითხებოდი - რატომ არ გინდათ, რომ თქვენი შვილები გათხოვდნენ? მპასუხობდნენ - აღარ გვეშინია, რომ მათ მოიტაცებენ... მოტაცება უკვე კრიმინალია, კანონდარღვევაა. ვინც მოტაცებას ფიქრობს, მანაც კარგად იცის, რომ ასე მარტივად არ არის, მას მოუწევს კანონის წინაშე პასუხისგება... ამიტომ, მოტაცება ახლა იშვიათი შემთხვევაა. (ექსპერტი)

რელიგიური უმცირესობების არასათანადო ინტეგრაცია ფართო საზოგადოებაში. ამ ჯგუფების წარმომადგენელი ბევრი გოგონა ქართულ ენას სათანადოდ არ ფლობს, რაც უფრო აღრმავებს მათ იზოლაციას და არ უტოვებს მათ ფართო არჩევანს კარიერის მხრივ. საზოგადოებრივი სივრციდან გარიყვა

კი ამყარებს გენდერულ როლებს და გოგონები ადრეულ ქორწინებაში ხედავენ ერთადერთ არჩევანსა და მათთვის "გარდაუვალ ბედს".

ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს: როდესაც საქმე ეხება ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს, ნაადრევი ქორწინების პრობლემა იქნეს დამატებით მახასიათებლებს; როდესაც "ტრადიციების პატივისცემის" მოტივით, არ ხდება უმცირესობების 'წეს-ჩვეულებებში ჩარევა სახელმწიფო სტრუქტურების მხრივ'.

კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ თბილისში, ისევე როგორც რეგიონებში, ადრეული ქორწინება ქალის ექსპლუატაციის კონტროლთან არის დაკავშირებული.

მიმაჩნია, რომ ამაზე მთლიანად განათლების სისტემა აგებს პასუხს. მხოლოდ განათლება და ცნობიერების ამაღლება თუ შეცვლის რაიმეს, სხვა ვერაფერი. ესეც უნდა იყოს არა ძალიან თავს მოხვეული, არამედ მათთვის სახალისო და საინტერესო. არავითარი ალტერნატივა არ არსებობს მათთვის. ვეკითხებოდი, თუ რითი ერთობიან, რა უყვართ. ასეთ კითხვებზე მიჭირდა პასუხის მიღება, რადგან არც იციან - უყურებენ სერიალებს საღამოს, მეგობრებთანაც იშვიათად დადიან, არანაირი ღონისძიება არ იმართება, რომ წავიდნენ. პრობლემა პირველ რიგში ენაა - ამის გამო არანაირი კონტაქტი ამ სახელმწიფოსთან არა აქვთ... არანაირი განცდა არა აქვს, რომ შენი თანამოქალაქეა. ძალიან იზოლირებული და ჩაკეტილი საზოგადოებაა. (ექსპერტი)

რეპროდუქციული ჯანმრთელობის 2010 წლის კვლევის შედეგების თანახმად, ტრადიციული ნორმების ძლიერი გავლენა და ქორწინებამდე სქესობრივი თავშეკავება

სამართალდამცავები, როცა ვყოფილვარ ტრენინგებსა თუ დისკუსიებზე, ამბობენ, რომ სენსიტიური და რთული საკითხია: როდესაც უმცირესობათა ჯგუფში ეხები ტრადიციას, რომელსაც ისინი უფრთხილდებიან და ფასეულობად მიიჩნევენ, ძალიან ძნელია, და ნაადრევი ქორწინებაც მტკივნეული თემაა. (ექსპერტი)

ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოში. შესაბამისად, ტრადიციები არ უტოვებენ შეყვარებულ წყვილს სქესობრივი ურთიერთობის დამყარების სხვა ალტერნატივას გარდა ქორწინებისა, რითაც უბიძგებენ

ადრეული ქორწინებისაკენ. სოციალური სტიგმის თავიდან აცილების მიზნით, გოგონები იძულებული ხდებიან, 'აირჩიონ' ადრეული ქორწინება. ერთ-ერთი ფაქტორი ასევე შეიძლება იყოს ინფორმაციის ნაკლებობა სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, რაც ზრდის გოგონას დაორსულების ალბათობას. ორსულობა კი, თავის მხრივ, ერთ-ერთი მიზეზია ნაადრევი ქორწინებისა. რესპონდენტების

გამოკითხვა მოწმობს, რომ არასრულწლოვნები ირჩევენ ქორწინებას, რათა 'კანონიერი' გახადონ თავიანთი ორსულობა და ამასთან, თავი აარიდონ გაკიცხვას საზოგადოების მხრიდან. საქართველოში 2012 წელს 15-19 წლის ასაკის გოგონებზე შობადობის ხვედრითი წილი შეადგენდა შობადობის საერთო რიცხვის 10%-ს.²³

ძალიან შემეშალა ხელი იმაში, რომ ჩემი საკუთარი აზრი ჩამომყალიბებოდა. მე ძალიან კარგი მოსწავლე ვიყავი სკოლაში, აი, რომ გავთხოვდი მერე ველარც სწავლა გავაგრძელებ. კოლეჯის მერე მუშაობაც ვერ შევძელი, არ გამიშვა ჩემმა მეუღლემ, არ სჭირდებოდა ჩემი მუშაობა. ეკონომიკურად არ იყო იმის საჭიროება, რომ მე მემუშავა. ამან ძალიან დამოკიდებული გამხადა, აბსოლუტურად უსუსური. (ნაადრევ ქორწინებაში მყოფი ქალი, თბილისი)

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის თანახმად 18 წლის ასაკამდე დაქორწინებულ ქალთა უმეტესობა ვერ ახერხებს საშუალო ან უმაღლესი განათლების მიღებას.²⁴ წინამდებარე კვლევის რესპონდენტებმაც ნაადრევი ქორწინების გამო სინანული გამოთქვეს. მათ განსაკუთრებით ის აწუხებდათ, რომ ადრეული ქორწინების მიზეზით ვერ მოახერხეს სრულფასოვანი განათლების მიღება და კარიერის განვითარება.

მე ვიყავი 16 წლის, რომ გავთხოვდი. მე თანახმა არ ვიყავი, მაგრამ მშობლებს უნდოდათ. არც მიყვარდა და არანაირი გრძნობაც არ მქონდა, არც ქორწინებაზე ვფიქრობდი. ასე მეგონა, რომ დავქორწინდები და მორჩა, ეს არის ჩემი სიცოცხლის ბოლო. მე მინდოდა სწავლა. ვერ ვისწავლე მშობლების დამსახურებით. ფიქრობდნენ, რომ მე უნდა დავქორწინდე და არ არის საჭირო ჩემთვის სწავლა. (ნაადრევ ქორწინებაში მყოფი ქალი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი)

ნაადრევ ქორწინებაში მყოფი რესპონდენტები ქორწინების დასაწყისში ქმრის მშობლებთან ერთად ცხოვრობდნენ. ზოგი მათგანი, დედამთილის მხრიდან ზეწოლის მსხვერპლი გახდა, მაგრამ მოახერხა, ქმართან ერთად ცალკე გადასულიყო საცხოვრებლად. ერთადერთი დადებითი, რასაც რესპონდენტები ნაადრევ ქორწინებაში ხედავენ, არიან მათი შვილები. ისინი აღნიშნავენ, რომ მხოლოდ შვილები სძენენ მათ ცხოვრებას აზრს.

გამოხმაურებები ნაადრევ ქორწინებაზე

გამოკითხულმა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სახელმწიფო უწყებები არ ცნობენ ადრეულ ქორწინებას, როგორც სერიოზულ პრობლემას და არ მიმართავენ შესაბამის ზომებს მის აღმოსაფხვრელად. ამასთან, არც ქალის და ბავშვის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები არ ანიჭებენ ამ საკითხს პრიორიტეტს და არ ახდენენ სათანადო რეაგირებას. ამგვარად, არ ხდება აქტიური მუშაობა ადრეული ქორწინებით გამოწვეული საფრთხეების შესამცირებლად.

ახალგაზრდებზე წვდომა

საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ასამაღლებლად მიმართავენ არაფორმალურ განათლებას. გაეროს მოსახლეობის ფონდი ქვეყანაში ლიდერია ახალგაზრდა თანატოლთა განათლების მოდელის პილოტირებასა და გავრცელებაში. ეს არის ეფექტური მოდელი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში ახალგაზრდების ინფორმირებულობის გაზრდისათვის. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალგაზრდული ფორუმები, მედიის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა, ინფორმაციული და საგანმანათლებლო სესიები საზაფხულო ბანაკებში; პროგრამა ასევე მოიცავს საგანმანათლებლო მასალებისა და ინიციატივების ფართო სპექტრს. ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების მთავარ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ახალგაზრდები. 2006 წლიდან 600-ზე მეტი ახალგაზრდა მომზადდა ისეთ საკითხებში, როგორცაა გენდერული თანასწორობა, აივ/შიდსის პრევენცია, რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები. მათ კი, თავის მხრივ, მიღებული ცოდნა გაუზიარეს 55 000-ზე მეტ ახალგაზრდას, მათ შორის - მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს: იძულებით გადაადგილებულ და უმცირესობათა ჯგუფებიდან. ახალგაზრდების ინფორმირებულობის გასაზრდელად და ცვლილებების განსახორციელებლად აუცილებელია ამ საკითხების ინტეგრაცია ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში.

ძირითადი პუნქტები

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქორწინების მინიმალური ასაკი არის 18 წელი. თუმცა, მშობლების თანხმობით, ან განსაკუთრებულ გარემოებებში, არასრულწლოვნებს შეუძლიათ დაქორწინება 16 წლის ასაკში. ეს გამონაკლისი კანონს არაეფექტურს ხდის.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა განსაზღვრავს, რა რეაგირება უნდა მოჰყვეს 16 წელს მიუღწეველ პირთან თანაცხოვრებას, 'ქორწინების' შემთხვევაში, ეს მუხლები პრაქტიკაში სათანადოდ გამოყენებული არ არის.

განათლება რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე არ არის სკოლის პროგრამის ნაწილი. შედეგად, მოზარდები არ ფლობენ ამ საკითხთან დაკავშირებულ სათანადო ინფორმაციას. რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და უფლებებზე არაინფორმირებულობა, ასევე - ქორწინების შემდეგ მაშინვე დაორსულებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მოლოდინები განაპირობებს ნაადრევ ქორწინებაში მყოფი გოგონას ნაადრევ დედობას.

ადრეულ ქორწინებას ადგილი აქვს როგორც დედაქალაქში, ისე საქართველოს რეგიონებში, თუმცა ამ პრაქტიკის მახასიათებლები და მისი გამოწვევი მიზეზები განსხვავდება რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობისა და რეგიონების მიხედვით. ერთი მხრივ, ტრადიციები და პატრიარქალური ღირებულებები, და მეორე მხრივ, განათლების ნაკლებობა და სიღარიბე წარმოადგენს ნაადრევი ქორწინების მთავარ განმაპირობებელ ფაქტორებს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

ვერც სახელმწიფო და ვერც საზოგადოება ვერ აცნობიერებს ადრეული ქორწინების პრობლემის სიღრმეს. შედეგად, ადრეული ქორწინება არ არის სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული.

ბავშვის და ქალის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის ადრეული ქორწინება არ წარმოადგენს პრიორიტეტს. მასზე მუშაობენ ირიბად, სხვა საკითხების ჭრილში - მაგალითად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობის დროს შესაძლოა შეეხონ ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონების პრობლემებს.

ნაადრევი ქორწინება გოგონების განათლების სისტემიდან გადინების ერთ-ერთ მთავარი მიზეზია. ქორწინების ან ნიშნობის შემდეგ (რიგი ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში), გოგონები წყვეტენ სკოლაში სიარულს.

ციტატები

რომ არსებობდეს კანონი, რომელიც აკრძალავდა 18 წლამდე გათხოვებას, ხალხი დაემორჩილებოდა ამ კანონს, მცირე გამონაკლისის გარდა. (ექსპერტი)

საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით პრობლემა არ დგას. არსებობს მხოლოდ ინსტიტუციური, იმპლემენტაციის პრობლემა, რადგან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არ არის საკმარისად აქტიური, არ ახდენს სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. (იურისტი, ექსპერტი)

მე ვფიქრობ, უალტერნატივოდ აუცილებელია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე განათლება სკოლებში... ამორტების მაჩვენებელი იმიტომ არის მაღალი, რომ განათლება ძალიან დაბალია ამ საკითხთან დაკავშირებით. (ექსპერტი)

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რა თქმა უნდა, წამყვანი ფაქტორია, მაგრამ იქ [ქვემო ქართლში] ეს წესად არის ქცეული და აღარც უკვირთ. როდესაც დავსვით კითხვა და ვუთხარით, რომ კანონის დარღვევაა 16 წლამდე ქორწინება, ვერც კი გაიგეს ნათქვამის მნიშვნელობა. (ექსპერტი)

ვფიქრობ, არ არის აღქმული, თუ რატომ არის პრობლემა ადრეული ქორწინება; როცა უჩვენებ სურათს და აუხსნი, მერე უკვე ხედავენ პრობლემას... ჯერ პრობლემის აღიარებამდე ვერ მივედით; ძალიან რთულია გადაჭრა, რადგან ჯერ ვერ შევთანხმდით, რომ ეს პრობლემაა. (ექსპერტი)

... [საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრი] და გაეროს მოსახლეობის ფონდი - მეტი არავინ მუშაობს ამ საკითხზე, ყველგან იგრძნობა არასაკმარისი ყურადღება ამის მიმართ. (ექსპერტი)

მეთორმეტე კლასში 31 ბავშვიდან 5-6 გოგოა და 25 - ბიჭი. პირველ კლასში თანაბრად არიან, მაგრამ მეცხრე კლასიდან გოგონები, ოჯახური ან სხვა პირობების გამო, წყვეტენ სწავლას. (მასწავლებელი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი)

მონაცემები

მთლიანი მოსახლეობა (2012):	4,497,600 ²⁵
სიცოცხლის ხანგრძლივობა (2011):	კაცები: 70.2 ქალები: 78.6 ²⁶
15 წლამდე მოსახლეობის ხვედრითი წილი (2012):	17.62% ²⁷
უმუშევრობის დონე (2009):	16.9% ²⁸
ახალგაზრდების განათლება:	100% ²⁹
ჯანმრთელობის ხარჯები წელიწადში ერთ სულზე (2009):	564\$ ³⁰
ძირითადი ეთნიკური ჯგუფები:	ქართველები, აფხაზები, ოსები, სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, ქურთი იეზიდები, ქისტები ³¹
ძირითადი რელიგია:	მართლმადიდებლური ქრისტიანობა (ოფიციალური), ისლამი ³²
ძირითადი ენები:	ქართული (ოფიციალური), რუსული, სომხური, აზერბაიჯანული ³³
ქორწინებათა რიცხვი (2012):	30 412 ³⁴
პირველი ქორწინების საშუალო ასაკი (2010):	21.9 ³⁵
შობადობის კოეფიციენტი 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში (2010):	39.0 (ათას ქალზე) ³⁶
შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (15-49) (2010):	2.0 ³⁷

ადრეული ქორწინების სტატისტიკა

ცხრილი 1: ქორწინებათა რიცხვი ასაკის მიხედვით (2012)³⁸

სულ ქორწინებათა რიცხვი	ქალის ასაკი		მამაკაცის ასაკი	
	16 წლამდე	16-19	16 წლამდე	16-19
30 412	-	4137 (14%)	-	42 (3%)

ცხრილი 2: ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი დედის ასაკის მიხედვით (2012)^{39, 40}

სულ ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი	დედის ასაკი					სულ ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი 18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში
	15 წლამდე	15	16	17	18	
57 031	26(0,05%)	114	425	977	1602	3144 (5.5%)

ასაკობრივი მონაცემები მკვრადშობადობისა და აბორტების შესახებ მისაწვდომი არ იყო.

ცხრილი 3: 15-19 წლის ასაკში დაქორწინებული გოგონების რიცხვი განათლების მიხედვით (2005) (ბიჭების შესახებ მონაცემები მისაწვდომი არ არის)⁴¹

განათლების დონე	15-19 წლის დაქორწინებული ქალების %
დაწყებითი	34.0
არასრული საშუალო ან საშუალო	7.1
არანაირი განათლება	49.1

ცხრილი 4: 18 წლამდე დაქორწინებული ქალების ხვედრითი წილი სიმდიდრის მიხედვით (2005)⁴²

ქონებრივი კვინტილი	18 წლამდე დაქორწინებული ქალები %
ყველაზე დაბალი	29.1
მეორე	21.0
საშუალო	18.3
მეოთხე	11.3
უმაღლესი	12.6

- ¹ ყველა ადამიანი, ვისაც ჯერ არ შესრულება 18 წელი, ითვლება ბავშვად. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989), <http://www2.ohchr.org/english/law/crc.htm>.
- ² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1108.
- ³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 140.
- ⁴ Kim, M., Boyle E.H., Longhofer W., and Brehm, H.N. (2013) 'When do laws matter? National minimum-age-of-marriage laws, child rights, and adolescent fertility, 1989-2007', *Law and Society Review*, 47(3), pp.589-619.
- ⁵ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, მუხლი 6.
- ⁶ საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, მუხლი 5.
- ⁷ საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, მუხლი 41 (2).
- ⁸ საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, თავი VIII, მუხლი 40.
- ⁹ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, მუხლი 140; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 133.
- ¹⁰ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; რეპროდუქციული ჯანმრთელობის განყოფილება, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები (CDC) (2012), ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2010: საბოლოო ანგარიში, თბილისი: UNFPA, UNICEF, USAID, გვ. 52.
- ¹¹ იქვე.
- ¹² იქვე.
- ¹³ იქვე.
- ¹⁴ იქვე, გვ. 150.
- ¹⁵ იქვე.
- ¹⁶ იქვე, გვ. 257.
- ¹⁷ გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) (2012), *Marrying Too Young*, New York: UNFPA .
- ¹⁸ სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (2013), სწრაფი შეფასების მეთოდით ეროვნული უმცირესობის ქალთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოვლენა ქვემო ქართლის რეგიონში, თბილისი: UN Women.
- ¹⁹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2012): საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ, თბილისი, საქართველოს სახალხო დამცველი.
- ²⁰ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2012): საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ, თბილისი, საქართველოს სახალხო დამცველი, გვ.710.
- ²¹ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 172.
- ²² დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; რეპროდუქციული ჯანმრთელობის განყოფილება დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები (CDC) (2012), ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2010: საბოლოო ანგარიში, თბილისი: UNFPA, UNICEF, USAID.
- ²³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2012), http://www.geostat.ge/?action=page&p_id=1090&lang=geo (ნანახია 20.11.2013)
- ²⁴ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; რეპროდუქციული ჯანმრთელობის განყოფილება დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები (CDC) (2012), ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2010: საბოლოო ანგარიში, თბილისი: UNFPA, UNICEF, USAID.
- ²⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2012), http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo (ნანახია 20.11.2013)
- ²⁶ United Nations Economic Commission for Europe (2011) *Countries in Figures, Georgia*. Available at: <http://www.unece.org/fileadmin/DAM/stats/profiles2011/Georgia.pdf> (ნანახია 20.11.2013)
- ²⁷ World Health Organization (WHO) (n.d.) *European Region: Georgia Statistics Summary*. <http://apps.who.int/gho/data/view.country.9100> (ნანახია 20.11.2013)
- ²⁸ United Nations Economic Commission for Europe (2011) *Countries in Figures, Georgia*. Available at: <http://www.unece.org/fileadmin/DAM/stats/profiles2011/Georgia.pdf> (ნანახია 20.11.2013)
- ²⁹ UNICEF (n.d.) *Georgia: Statistics (2007-2011)*, http://www.unicef.org/infobycountry/georgia_statistics.html (ნანახია 29.11.2013)
- ³⁰ World Health Organization (WHO) (2013) *Georgia: Statistics*, <http://www.who.int/countries/geo/en/> (ნანახია 29.11.2013)
- ³¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2012), http://www.geostat.ge/cms/site_images/files/english/census/2002/03%20Ethnic%20Composition.pdf (ნანახია 20.11.2013)
- ³² Central Intelligence Agency (CIA) (2013) *CIA World Factbook: Georgia*, <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/gg.html> (ნანახია 29.11.2013)
- ³³ Central Intelligence Agency (CIA) (2013) *CIA World Factbook: Georgia*, <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/gg.html> (ნანახია 29.11.2013)
- ³⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2012), http://www.geostat.ge/?action=page&p_id=166&lang=geo (ნანახია 29.11.2013)
- ³⁵ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; რეპროდუქციული ჯანმრთელობის განყოფილება დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები (CDC) (2012), ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2010: საბოლოო ანგარიში, თბილისი: UNFPA, UNICEF, USAID.
- ³⁶ იქვე, გვ.52
- ³⁷ იქვე.

³⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2012),
წერილი N 11-06/2335, 29.10.2013.

³⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2012),
http://www.geostat.ge/?action=page&p_id=1090&lang=geo (ნანახია
20.11.2013)

⁴⁰ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2012),
წერილი N11-06/2646, 04.12.2013.

⁴¹ UNICEF (2005) Multiple Indicator Cluster Survey (MICS3),
Georgia. available at: http://www.childinfo.org/mics3_surveys.html
(ნანახია 20.11.2013)

⁴² UNICEF (2005) Multiple Indicator Cluster Survey (MICS3),
Georgia. available at: [http://
www.childinfo.org/mics3_surveys.html](http://www.childinfo.org/mics3_surveys.html) (ნანახია 20.11.2013)

მთავარი გზავნილები

სრულყოფილად ასაკში ქორწინება ქალს თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალებას აძლევს, რაც ყველასთვის სასიკეთოა. ახალგაზრდა ქალი, რომელიც გვიან ქორწინდება, დიდი ალბათობით, იღებს სრულფასოვან განათლებას, მუშაობს და შეაქვს ინვესტიცია ოჯახში. მეტად მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ გოგონა თუ უფრო გვიან ქორწინდება, მეტი ძალა შესწევს, დამოუკიდებლად მიიღოს თავისი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, თვითონ აირჩიოს, როდის და რამდენი შვილი იყოლიოს. გოგონების განვითარებაში ინვესტირება ყველასთვის სიკეთის მომტანია: ოჯახისთვის, საზოგადოებისათვის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თვითონ გოგონასთვის.

ადრეული ქორწინების პრობლემის უფლებებელყოფა სავალალო შედეგების მომტანია. დროა, პოლიტიკოსებმა, პარლამენტარებმა, საზოგადოებამ, ოჯახებმა და ახალგაზრდებმა ამ პრობლემაზე ღიად დაიწყონ საუბარი. საჭიროა შევქმნათ ისეთი მსოფლიო, სადაც ყოველი ორსულმა სასურველი იქნება, ყოველი მშობიარობა უსაფრთხო, და თითოეულ ადამიანს ექნება საშუალება, განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები. ნუ წავართმევთ გოგონებს ბავშვობას!

ადრეული ქორწინება გოგონების უფლებების დარღვევაა, ის მათ ართმევს ბავშვობას, ხელს უშლის სრულფასოვანი განათლების მიღებაში, საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას და ზღუდავს მათ შესაძლებლობებს. გოგონებისათვის მიყენებულ ზიანს ვერ გამართლებს ადრეული ქორწინების ვერავითარი კულტურული, რელიგიური თუ ეკონომიკური მოტივი. გოგონას უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება და საშუალება, თვითონ გადაწყვიტოს, თუ როდის და ვისზე დაქორწინდება. მშობლებმა, საკუთარი შვილების კეთილდღეობისთვის, მხარი უნდა დაუჭირონ და პატივი სცენ გოგონას არჩევანს და გადაწყვეტილებას.

გაეროს მოსახლეობის ფონდი თანამშრომლობს მთავრობებთან და პარტნიორებთან ყოველმხრივი პროგრამების განსახორციელებლად საზოგადოების ყველა დონეზე. ეს პროგრამები დაგეგმილია მოწყვლადი და ნაადრევად დაქორწინებული გოგონების საჭიროებების მიხედვით და მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ისინი საარსებო წყაროთი, სოციალური დახმარებით და სამედიცინო პროგრამებით, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროს. უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ნაადრევი ქორწინების აღმოფხვრა და კულტურული დამოკიდებულებების ტრანსფორმაცია გოგონათა უფლებების სასარგებლოდ.

რა უნდა გაკეთდეს ადრეული ქორწინების თემაზე დუმბილის დასარღვევად?

საჭიროა ადრეულ ქორწინებაში და ადრეული ქორწინების საფრთხის ქვეშ მყოფი გოგონების მდგომარეობასა და უფლებებზე ყურადღების გამახვილება. ადრეული ქორწინება, პირველ რიგში, აფერხებს გოგონების განვითარებას. მიუღებელია, რომ მსოფლიოში ყოველდღიურად ხდებოდეს გოგონების ჯანმრთელობისა და შესაძლებლობების უგულვებელყოფა და მათი უფლებების შელახვა.

აუცილებელია გოგონების განვითარებაში ინვესტირება და მათი უნარების განვითარება, განსაკუთრებით - განათლების ხელშეწყობა. გოგონების განათლება, კერძოდ, სრული საშუალო განათლება, ქორწინების ასაკთან დაკავშირებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. გოგონებს სჭირდებათ სოციალური დახმარება და წვდომა ისეთ პროგრამებზე, რომლებიც უზრუნველყოფს მათ განათლებას,

უნარს, მოპოვონ ცხოვრებისათვის საჭირო სახსრები, ინფორმაციას რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ოჯახის დაგეგმვის და დედათა ჯანმრთელობის სფეროში სამედიცინო მომსახურების შესახებ.

ინვესტიცია მოზარდ გოგონებში!

აუცილებელია ინვესტირება, რათა ადრეული ქორწინების საფრთხის ქვეშ მყოფმა გოგონებმა შეძლონ ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და უფლებებზე ინფორმაციის მიღება, ძირითად სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა, კარიერის განვითარებისთვის საჭირო პროფესიული უნარების ათვისება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა.

ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონებისათვის საჭიროა არსებობდეს მიზნობრივი სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ განათლებას, სამედიცინო მომსახურებაზე წვდომას (სგდ და აივ/შიდსის პრევენციის ჩათვლით), სრულფასოვანად ჩართულობას საჯარო სივრცეში. დედათა ჯანმრთელობის პროგრამები ორიენტირებული უნდა იყოს ახალგაზრდა და გამოუცდელი დედების საჭიროებებზე, რათა მათ სრულად გამოიყენონ ანტენატალური, ძირითადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება და პოსტ-ნატალური პატრონაჟი.

ბოლოსიტყვა

ეს ნაშრომი გაეროს მოსახლეობის ფონდისათვის მოამზადა მაია ბარქაიამ. იგი მადლობას უხდის კვლევის რესპონდენტებს თანამშრომლობისათვის, და გაეროს მოსახლეობის ფონდს საქართველოში - მათი თანადგომისთვის. იგი ასევე მადლობას უხდის ჯოანა ჰოარეს (ხელმძღვანელი და რედაქტორი), და გაეროს მოსახლეობის ფონდის რეგიონული ბიუროს (EECARO) გენდერის ექსპერტს ნიგინა აბასზადეს.

შენიშვნა: კვლევაში წარმოდგენილი თვალსაზრისები შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს მოსახლეობის ფონდის, ან მასთან ასოცირებული ორგანიზაციების თვალსაზრისს.

საკონტაქტო ინფორმაცია: გაეროს მოსახლეობის ფონდი, საქართველო: გაეროს სახლი, ერისთავის ქ. 9, თბილისი 0179 საქართველო.

გაეროს მოსახლეობის ფონდის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ბიურო (EECARO): Hakki Yeten Caddesi, Seleniun Plaza, No:10/C Kat 18-19, 34349 Besiktas, Istanbul, Turkey; eecaro@unfpa.org



საჭიროა შევქმნათ ისეთი მსოფლიო, სადაც ყოველი ორსულმა იქნება სასურველი, ყოველი მშობიარობა - უსაფრთხო, და თითოეულ ახალგაზრდას ექნება საშუალება, განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები.